THE STRUGGLE OF GEORGIAN KINGS AGAINST THE AFGHANS IN THE FIRST THIRD OF THE 18TH CENTURY. ACCORDING TO SEKHNIA CHKEIDZE'S "THE LIVES OF KING".

ქართველ მეფეთა ბრძოლა ავღანელთა წინააღმდეგ XVIII ს-ის პირველ მესამედში სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ მიხედვით

DODO NADIRADZE
Phd Student of Sokhumi State University
61 Politkovskaya street, 0186, Tbilisi, Georgia
Deanadiradze@yahoo.com
+995 577 38 97 72
https://orcid.org/0009-0006-6189-1726

Abstract. Among the sources of the socio-economic and political history of the Safavid state, in addition to the narrative composed in the Persian language itself, the writings of foreigners are also of great importance; For the history of the first quarter of the 18th century, not a single important work can be found in the Persian language. This is not a coincidence, as Safavid Iran was experiencing a general political, economic and cultural decline. The decline of culture could not prevent the development of historiography. In the history of the Safavid state, Soltan-Hossein was the first shah who did not have his own historian. The temporarily dominant Afghans in Iran would be less able to fill this void, as they had severed all ties with Iranian society. In addition, as Prof. V. Gabashvili notes, "Persian writers were reluctant to write the history of Iran's "national shame" (Gabashvili, 1955:35). For the history of Iran of this period, we have sources compiled mainly in Western European, Armenian and Georgian languages. It is also worth noting that the authors of these essays had to stay in Iran for a long time and described the events they saw with their own eyes. In this regard, Sekhnia Chkheidze's historical work "The Life of Kings", which covers the period from 1653 to 1739, is very interesting. Sekhnia Chkheidze, Papuna Orbeliani and Oman Sekheulidze provide a coherent narrative of the history of Georgia in the 17th-18th centuries, which, separately and together, makes their contribution to Georgian historiography very important. Iv. Javakhishvili, D. Gvritishvili, Sh. Khantadze, M. Gobejishvili, G. Anchabadze, N. Nakashidze, V. Gabashvili and others, but many things are still to be studied and presented in this regard. The article discusses the importance of Sekhnia Chkheidze's writings for the study of the history of the second half of the 17th century and the first half of the 18th century, and not only Georgia (we mean Iran, Afghanistan...). In the province of Eastern Iran, the Afghan and Baluchi tribes clashed. Shah Sultan-Hussein assigned Georgians, in particular, Giorgi XI, who appointed him as the commander of the army and the governor of Kandahar, to repulse the Marbi troops. Sekhnia has described in detail the military operations in the territory of Kirman and Sistan. The article focuses on these long and difficult wars, in which many Georgians were sacrificed, as well as on the tragic fate of King Giorgi and then KaikhaaAosro.

I think the public should know more about the struggle of the Georgian kings against the Afghans in the first third of the 18th century. More information about these events can be found in "The Lives of Kings" by S. Chkheidze, presented to us.

Key words: Kartli; Iran; Isfahan; Afghans (Ghilzais, Baluchis); Kandahar; rebellion; Georgian cavalry; Beglabeg.

დოდო ნადირაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ანა პოლიტოვსკაიას 61, 0186, თბილისი, საქართველო
Deanadiradze@yahoo.com
+995 577 38 97 72
https://orcid.org/0009-0006-6189-1726

აბსტრაქტი. სეფიანთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის წყაროებს შორის, გარდა საკუთრივ სპარსულ ენაზე შედგენილი ნარატივისა, დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელთა თხზულებებსაც; XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიისათვის სპარსულ ენაზე არ მოგვეპოვება არც ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, რადგან სეფიანთა ირანი განიცდიდა საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაცემას. კულტურის დაცემას არ შეიძლებოდა არ შეეფერხებინა ისტორიოგრაფიის განვითარება. სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიაში სოლთან-ჰოსეინი პირველი შაჰი იყო, რომელსაც თავისი ისტორიკოსი არ ჰყავდა. ირანში დროებით გაბატონებული ავღანელები ნაკლებად შეძლებდნენ ამ სიცარიელის შევსებას, რადგან ირანელ საზოგადოებასთან ყოველგვარი კავშირი ჰქონდათ გაწყვეტილი. გარდა ამისა, როგორც პროფ. ვ. გაბაშვილი შენიშნავს, ,,სპარსელი მწერლები ერიდებოდნენ, დაეწერათ ირანის ,,ეროვნული სირცხვილის" ისტორია " (გაბაშვილი, 1955:35). ამ პერიოდის ირანის ისტორიისთვის ძირითადად დასავლეთევროპულ, სომხურ და ქართულ ენებზე შედგენილი წყაროები გაგვაჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თხზულებათა ავტორებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოუხდათ ყოფნა ირანში და აღწერილი აქვთ საკუთარი თვალით ნანახი მოვლენები. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა სეხნია ჩხეიძის საისტორიო თხზულება ,,ცხოვრება მეფეთა", რომელიც მოიცავს პერიოდს 1653 წლიდან 1739 წლამდე. სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე იძლევიან XVII–XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გაბმულ თხრობას, რაც, ცალ-ცალკე და ერთად, მეტად მნიშვნელოვანს ხდის მათ დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. სეხნია ჩხეიძის თხზულებას და მოღვაწეობას ეხებოდნენ ივ. ჯავახიშვილი, დ. გვრიტიშვილი, შ. ხანთაძე, მ. გობეჯიშვილი, გ. ანჩაბაძე, ნ. ნაკაშიძე, ვ. გაბაშვილი და სხვები, მაგრამ ბევრი რამ ამ კუთხით კიდევ შესასწავლი და წარმოსაჩენია. სტატიაში განხილულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სეხნია ჩხეიძის თხზულებას XVII ს-ის მეორე ნახევრისა და XVIII ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს და, არა მარტო საქართველოს (მხედველობაში გვაქვს ირანი, ავღანეთი...), ისტორიის შესწავლისთვის. აღმოსავლეთ ირანის პროვინციაში ავღანელი და ბელუჯი ტომები დათარეშობდნენ. მარბიელი რაზმების მოგერიება შაჰმა სულთან-ჰუსეინმა ქართველებს, კერძოდ, გიორგი XI-ს დაავალა, რომელიც ჯარის სარდლად და ყანდაჰარის გამგებლად დანიშნა. სეხნიას დაწვრილებით აქვს აღწერილი საბრძოლო მოქმედებები ქირმანისა და სისტანის ტერიტორიაზე. სტატიაში ყურადღება

გამახვილებულია ამ ხანგრძლივ და მძიმე ომებზე, რომელსაც მრავალი ქართველი ეწირებოდა, ასევე გიორგი მეფისა და შემდეგ ქაიხოსროს ტრაგიკულ ბედზე.

ვფიქრობ, საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს XVIII ს-ის პირველ მესამედში ავღანელთა წინააღმდეგ ქართველ მეფეთა ბრძოლის შესახებ. ამ მოვლენებზე კი დაწვრილებით ინფორმაციას ს. ჩხეიძის ,,ცხოვრება მეფეთა" გადმოგვცემს.

საკვანძო სიტყვები: ქართლი; ირანი; ისპაჰანი; ავღანელები; ყანდაჰარი; აჯანყება; ქართველთა მხედრობა; ბეგლაბეგი.

შესავალი. ნაშრომის მთავარი მიზანია სეფიანთა ირანის კავკასიური პოლიტიკის საერთო სურათის წარმოჩენა. კვლევითი მიზნების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს XVII–XVIII საუკუნის ავტორის, სეხნია ჩხეიძის ,, ცხოვრება მეფეთა". ამ ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ეძღვნება ირანს, ავღანეთს და საქართველოს. სწორედ აღნიშნული ნაშრომის ანალიზი და მისი მონაცემების შეჯერებაა კვლევის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება. ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენს ამ თხზულებაში არსებული არაერთი დღემდე უცნობი ფაქტისა თუ ნაცნობი მოვლენების შემავსებელი ინფორმაციის შეჯერება სხვა წყაროების მონაცემებთან, მათი სანდოობის დადგენის მიზნით. ყოველივე ზემოთ თქმული, სტატიას აქტუალობას და სამეცნიერო სიახლეს ანიჭებს. სეხნია ჩხეიძე, უფრო მეტად სპარსეთში ცხოვრობდა და სწორედ ამიტომ მის თხზულებაში დიდი ადგილი უჭირავს ირანის ამბებსაც. ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „ს. ჩხეიძის ისტორია ისე ქართლის ისტორია არ არის, როგორც მართლაც ქართლის „მეფეთა ცხოვრება". ხოლო რაკი ბედის უკუღმართობის წყალობით ქართლის მეფეები იძულებულნი იყვნენ, თავიანთი მეფობის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეშე გაეტარებინათ და სპარსეთში „ბეგლარ-ბეგობისა და ამირ-სპასალარობისა" თანამდებობითაც დატვირთულნი სპარსეთის ურჩ ქვეშევრდომთათვის შეელიათ თავიანთი ძალ-ღონე და დღენი, ამიტომ მათი „ცხოვრება" უნებლიეთ ისტორიკოსს უნდა დაეწერა „ამბით უცხოთა ქვეყნისათა არა მარტივად ქართლისა" (ჯავახიშვილი, 1977:359). სეხნია ჩხეიძის თხზულება მსგავსია იმდროინდელი სპარსული თუ ევროპული მატიანეებისა. ავტორი დეტალურად და თანმიმდევრობით მოგვითხრობს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენების შესახებ. დავით ჩუბინაშვილი, რომელმაც თავად გამოსცა ეს თხზულება 1854 წელს პეტერბურგში, წერს, რომ ჩხეიძე სეხნია დაწვრილებით გვაწვდის საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს იმ პერიოდის ქართლისა და ირანის შესახებ.

სეხნია ჩხეიძის თხზულება შინაარსობრივად არა მარტო ომებსა და მეფეთა ცხოვრების ამბებს ასახავს, არამედ მასში გადმოცემული ისტორიული ფაქტები მაღალ ნდობას იმსახურებს, რადგან თვითმხილველის მიერაა მოთხრობილი.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ისტორიული კვლევის კომპარატიული მეთოდი, რაც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენას და მათ ანალიზს, პირველადი წყაროების მონაცემთა შეჯერებას საერთო დასკვნის გამოტანის მიზნით.

შედეგები და მსჯელობა. XVII საუკუნის დასასრულს ირანი ჯერ ეკონომიკურად დაკნინდა, შემდეგ კი, ბუნებრივია, ამას პოლიტიკური დასუსტება მოჰყვა. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები იყო - სოციალური დაძაბულობა, არასწორი საგადასახადო პოლიტიკა, რამაც გამოიწვია სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის და ვაჭრობის მოშლა. სეფიანთა ირანის ეკონომიკურ დაცემას ხელი შეუწყო ასევე იმ ფაქტმაც, რომ XVII საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მთლიანად აითვისეს საზღვაო გზა

ევროპიდან ინდოეთამდე აფრიკის შემოვლით, რის გამოც ირანზე გამავალი სახმელეთო საქარავნო გზების მნიშვნელობა შესუსტდა და შემცირდა სატრანზიტო ვაჭრობაც. ჯერ კიდევ შაჰ სოლეიმანის მმართველობის დროს (1666-1694), უკვე შეიმჩნევა ირანის დასუსტების ნიშნები. ამ დროს ჰოლანდიელებმა დაიკავეს კუნძული ყეშმი სპარსეთის ყურეში. ყველა ეს ფაქტორი კიდევ უფრო გამოიკვეთა შაჰ სოლთან ჰოსეინის მმართველობის პერიოდში (1694-1722), რომელიც სუსტი მონარქი აღმოჩნდა.

პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ იმდროინდელი ავტორების მიერ არსებული სიტუაციის შეფასებაზე: მინისტრ-რეზიდენტი, ასტრახანის გუბერნატორი არტემი ვოლინსკი, რომელიც რუსეთის ელჩი იყო ირანში, შაჰ სოლთან-ჰოსეინის შესახებ წერდა: "ძნელია მოიძებნოს ასეთი სულელი არამცთუ გვირგვინოსნებს შორის, არამედ უბრალო ხალხშიაც კი" "თვითონ არავითარ საქმეში არ ერევა და ყველაფერში ეყრდნობა თავის ეთიმად ადდოვლეს" (Пигулевская 1958, 308).

სოფლების გაჩანაგებამ დაასუსტა შიდა ვაჭრობა და შესუსტდა ეკონომიკური კავშირი ცალკეულ ოლქებს შორის. შაჰ სოლთან ჰოსეინი, რომელიც შიიტი სასულიერო პირების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, დევნიდა სუნიტებს, რომლებიც ბევრნი იყვნენ ქურთისტანში, ავღანეთში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. დევნიდა იგი ასევე დერვიშ-სუფიებს და უკიდურესი შიიტური სექტების მიმდევრებსაც.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დადგინდეს რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ავღანელი ტომების წინააღმდეგ ქართველი მეფეების ბრძოლის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ქართველი ავტორი სეხნია ჩხეიძე. სპარსელი მწერლები ერიდებოდნენ დაეწერათ ირანის ,,ეროვნული სირცხვილის" ისტორია, რის გამოც მნიშვნელოვანია ევროპელი მისიონერებების ცნობები, რომლებიც უშუალოდ მოღვაწეობდნენ ირანის კარზე და მათი მასალების შესწავლა შუქს მოჰფენს ქართული წყაროს სანდოობას. იოსებ ქართველი უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეა, რომელსაც XVII-XVIII სს. აღმოსავლეთ პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე მოუწია მოღვაწეობა. მას კარგადაც იცნობენ ევროპელი ირანისტები და ორიენტალისტები. მისი აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე დაწერილი თხზულებები მთავარ წყაროებია ე. წ. ,,აშლილობის ხანის" ირანის ისტორიისთვის. მისი ვინაობისა და ჩანაწერების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII ს -ის ფრანგი მწერალი ლუი ანდრე დე ლა მამიე-კლერაკი ,,სპარსეთის ისტორია", რომლის შესავალშიც დაცულია იოსებ ქართველის შესახებ ცნობები და დასახელებულია მისივე თხზულებები. თხზულების ხელნაწერი გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა და შეისწავლა ინგლისელმა ორიენტალისტმა ვაირმა. ცნობილია, რომ იოსებ ქართველმა სიტყვიერად და წერილობით გააცნო მ. კლერაკს ირანში მომხდარი ამბები. ამ ფრანგი ისტორიკოსის ,,სპარსეთის ისტორია", რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ავღანთა შემოსევებსა და მათ ბატონობას, ძირითადად იოსებ ქართველის ინფორმაციას ემყარება. მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ,,ორი ქართველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძისა და იოსებ ქართველის ცნობები ძირითადად იდენტურია"(გაბაშვილი, 1955:120).

კარგადაა ცნობილია ირანში მყოფი ქართველი მეფე-ბატონიშვილების ურთიერთობა კათოლიკე მისიონერებთან. იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის ბოლოს ქრისტიანი სასულიერო პირები გამაჰმადიანებული ქართლის მეფის გიორგი XI-ის ჯარშიც იმყოფებოდნენ (დიონიჯო კარლი, 1951:168-69); ფაქტობრივად „მეფეთა ცხოვრების" ელფერი გადაჰკრავთ სპარსეთში მოღვაწე პოლონელ თადეუს კრუშინსკის და იოსებ ქართველის თხზულებათა შინაარსს. ეს ადვილად გასაგები უნდა იყოს, რადგან სეფიანთა ირანის არსებობის კრიტიკულ მომენტში ბეგლარბეგებად, ამირსპასალარებად, მდივანბეგებად, ყაენის ნაიბებად და ისპაჰანის ტარუღებად ქართველი მეფე-ბატონიშვილები

ინიშნებოდნენ. ქართველი სარდლები და მეომრების ლაშქარი ებრძოდნენ აჯანყებულ ავღანელებს, რომლის ლიკვიდაციისკენ მიმართული იყო ირანის მთელი ძალები.

პირდაპირი ცნობების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველი მემატიანე მოგვითხრობს არა მარტო საკუთარი ინტერპრეტაციით აგებულ ფაქტებს, არამედ ირანთან ქართული სახელმწიფოს ურთიერთობის კონტექსტში დანახულ საერთო ვითარებას. 1696 წელს სეხნია ჩხეიძე, როგორც, სპარსეთში მიმავალი ქაიხოსრო ბატონიშვილის ამალის წევრი, პირველად ჩავიდა ისპაჰანში, სადაც 7 წელი დაჰყო. თავდაპირველად იგი კარგ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ მალე სპარსეთის ხელისუფალნი შემოსწყრნენ ქაიხოსრო ბატონიშვილს და სეხნიას სამშობლოში დაბრუნება შესთავაზეს. სეხნიამ არ ისარგებლა ამ ნებართვით და დარჩა ბატონიშვილთან. 1697 წელს ისპაჰანში სეხნია დაესწრო შაჰისა და მეფე გიორგის შეხვედრას, რომელიც შეურიგდა შაჰს და მოინახულა თავისი ძმები და ძმისწულები. ირანის არსებობის ბოლო ეტაპზე დატრიალებულმა ამბებმა ცხადყვეს, თუ რა მნიშვნელოვანი პიროვნება უნდა ყოფილიყო სეფიანთა პოლიტიკის დასაცავად მეფე გიორგი. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რამდენად საშიში ძალა იქნებოდა სამხედრო ნიჭითა და მხნეობით გამორჩეული ქართველები, თუ ისინი მტრულად განეწყობოდნენ შაჰის კარისადმი. განსაკუთრებით ის მხედრობა, რომელსაც სათავეში მეფე გიორგი ედგა. ამას ადასტურებს უცხოური წყაროც. შესწავლილი საკითხთან დაკავშირებულ საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს დასავლეთევროპული პირველადი წყაროები. ინგლისელი ვაჭრის, ჯონას ჰანვეის თხზულებაში "ისტორიული ესსე ბრიტანული ვაჭრობისა კასპიის ზღვაზე" (Hanwey, 1729-42) დაცულია მეტად საინტერესო ცნობები რიგ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელთა თვითმხილველიც ავტორი თავად იყო. თავის დროზე მაკარ ხუბუამ ყურადღება მიაქცია ჰანვეის და ქართველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის ,,მეფეთა ცხოვრებაში" მოტანილი ცნობების იდენტობას, ჰანვეი :,,თუმცა ის გამაჰმადიანდა, მაგრამ მაინც ჰქონდათ მისი შიში, ამიტომ შაჰის კარზე აღარ იცოდნენ, რა ზომები მიეღოთ... გადაწყვიტეს, გაგზავნონ ყანდაჰარში ეს პრინცი, რომლის მხნეობასა და სიმამაცეს და სხვა დადებით სამხედრო თვისებებს შეეძლოთ გაეხადათ ის საშიშ პიროვნებად სხვა პროვინციებში" (ხუბუა, 1940:248).

1699 წელს სეხნია ქირმანში თან ახლდა ლევან ბატონიშვილს ბელუჯების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია ყანდაარის ქვეყანაში, ქანუდინარში, სადაც ლევანი სიკვდილს გადაარჩინა. ბატონიშვილის დავალებით სეხნიამ მანიჟავის ღელეზე ორასკაციანი თათართა რაზმით გზა გადაუჭრა ბელუჯთა სარდალს მირ-ხოსროს და სძლია მას. „მოუხდა ერთი ბულუჭი, შემოსტყორცნა თოფი იღლიას, თურმე კაბაში გავარდა. მოუხდა სეხნია, შემოსცა შუბი მარცხენას ღლიასა და თქვენმა მზემა, მარჯვენა ღლიაში გაავლო. ძლიერებითა ღუთისათა გაგვემარჯვა, გაგვექცნენ, ცოტა რამე კლდე და სიმაგრე იყო, შეგვესწრენ იმას ზედან. ავივსენით ნაშოვრითა, მრავლითა საქონელითა. მოიჭრა თავი მათი ათას ხუთასი, ჩვენის ჯარიდამ დაგვკლებოდა ას ორასი. თუცა გენახავნით მცირე პატრონ-ყმანი, არ ავად ვიყვენით. წამოვედით გამარჯვებულნი, მოვედით იქავ ქანუდინარსა, მოლოდინი გვქონდა. ხოსროშას თურე ამბავი მისვლოდა ჩვენისა გამარჯვებისა და გვერიდებოდა და წასულიყო მანიჟავის ღელეზედა (ჭიჭინაძე,1913; 23).

,,მეფეთა ცხოვრების" ცნობით 1700 წლის თებერვალში სეხნია ლევან ბატონიშვილთან ერთად დაბრუნდა ქირმანში, სადაც მალე გიორგი XI ჩასულა. გიორგი XI-ს და ლევან ბატონიშვილს ახალი თანამდებობების წყალობით ირანის ტერიტორია უნდა დაეცვათ გარეშე მტრის -ბელუჯებისგან. ბელუჯები ირანის დაპყრობილ ტომთა იმ ჯგუფს მიეკუთნებოდნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფოს საზღვართან. სეფიანთა ბატონობა ამ ტერიტორიაზე განსაკუთრებით მკაცრი იყო. ეს გამოიხატებოდა როგორც გადასახადების გაზრდაში, ისე რელიგიურ წინააღმდეგობაშიც. ამ პერიოდში

გახშირდა ამ ტომთა აჯანყებები და შემოსევებიც. ეს ავღანელი ტომები ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისთვის იბრძოდნენ და მათი ტერიტორიების დაბრუნება უნდოდათ. გიორგი XI-მ არაერთი წარმატება მოუტანა სპარსელებს და, რა თქმა უნდა, ამის გამო ავღანელთა სიძულვილი დაიმსახურა. იგი მხოლოდ სპარსელთა მთავარსარდალი არ იყო და მასთან ერთად ავღანელების წინააღმდეგ საქართველოდან საგანგებოდ გაწვეული მეომრებიც იბრძოდნენ.

1700 წლის ივნისში ქაშანის ქვეყანას ავღანელები და ბელუჯები შეესივნენ, დაამარცხეს შაჰის ჯარები და ეს მხარე დაიპყრეს. მოვიდა ამბავი: "ბულუჭნი და ავღანნი შეიყარნენო და მოდიანო"(ჭიჭინაძე, 1913;25). თურმე ბიაბანსა შიგან ასრე გაევლოთ, ვერა ვცანით რა ამბავი, წასულ იყუნენ ქუეყანასა ქაშანისასა, დაარბიეს გარეშემო ქაშანისა, პასუხის მიმცემი არავინ ჰყვანდათ“ (ჭიჭინაძე, 1913;25). მათ წინააღმდეგ გალაშქრება შაჰმა მეფე გიორგის უბრძანა. გიორგიმ მრავალი ბრძოლა გადაიხადა აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ და ყველა ბრძოლაში სეხნია თან იახლა. „ჩვენ წავედით დიდისა სიხარულითა, ვიარეთ ბიაბანი. თავმან თქვენმან თხუთმეტს დღეს ცხენს ბზე არა ჰქონია. ბიაბანსა შიგან სიარულმა შეგვაწუხა, თვარა და მერმე ამიტომ იმ ალაგების ნახვისათვის, ის ალაგები გზათაც არავის გაევლო, არათუ საომრათ ვინ წავიდოდა. ვიარეთ თვე ერთი, გაგზავნა მახარობელი ყაენთანა და შემოვიქეცით ქალაქსა ქირმანისასა.... შეიქნა იმა ქვეყანასა სიმშვიდე და ნაოხართა შენობა“ (ჭიჭინაძე, 1913; 30).

შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ავღანეთის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ხორასნის პროვინცია. ამ მიწას, რომელიც ავღანური ტომებით (პუშტუნების წინაპრებით) იყო დასახლებული, ეწოდა ავღანეთი. სახელწოდება „ავღანელი“ („აბგანი“) ყველაზე ადრე ნახსენებია III საუკუნის სასანური იმპერიის შაჰის, შაფურ I-ის წარწერაში. დღევანდელი თურქულენოვანი ავღანელების მრავალი წინაპარი დასახლდა ჰინდუკუშის რეგიონში და დაიწყო იქ უკვე მცხოვრები პუშტუნი ტომების კულტურისა და ენის შეთვისება. მათ შორის იყო ღილზაებად ცნობილი ხალხი. XVIII საუკუნის დასაწყისში ყანდაჰარში, სწორედ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ავღანური ტომის - ღილზაების აჯანყება დაიწყო. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ამბოხი სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაპყრობილი ხალხების აჯანყებებიდან. ამ აჯანყებას სათავეში ედგა ღილზაების ტომის ბელადი მირ ვეისი, რომელიც ქალაქ ყანდაჰარის მემკვიდრეობითი ქალანთარი იყო.

„ცხოვრება მეფეთა”-ში გვხვდება ადგილები, რომლებიც შუასაუკუნეების სასტიკ ზნე-ჩვეულებებს გვახსენებენ. დაწვრილებით მოგვითხრობს ავტორი, თუ რა გზით „დაამყარა წესრიგი„ გიორგი XI-მ ყანდაარის ოლქში:„ საითკენაც ურჩნი იყო გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი, ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგს კბილები დააძურის და თავზე დაარჭვის. შეშინდა ყანდაარის ქუეყანა და შეიქნა უშენოთა შენება“ (ჭიჭინაძე, 1913: 38).

XVIII ს-ის თხზულებას თანამედროვე საზომით ვერ მივუდგებით. პირიქით, ს. ჩხეიძეს, ჰუმანური, ან რაიმე სხვა მოსაზრებებით, რომ დაემალა ეს ფაქტები და ამით შეელამაზებინა თავისი დროის სინამდვილე, მისი თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა უფრო ნაკლები იქნებოდა. ავტორს, სხვადასხვა ბრძოლის აღწერისას, უყვარს ამა თუ იმ მეომრის და, განსაკუთრებით, ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლების საბრძოლო მამაცობის ჩვენება. მაგრამ ამავე დროს იგი მოწინააღმდეგის გმირობასაც არ ჩქმალავს. მაგალითად, მისი მოთხრობა გულადი ბელუჯის შესახებ, რომელმაც მარტომ გაარღვია მტრის რკალი, მოკლა რამდენიმე მათგანი და ხმალი შემოჰკრა თვით სეხნიასაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს „ცხოვრება მეფეთა“-ს ავტორის არატენდეციურობას.

ბელუჯების შემოსევებს უმკლავდებოდნენ ლევან ბატონიშვილი და მეფე გიორგი. ბელუჯებს მალე ავღანელებიც შეუერთდნენ . მათ დაარბიეს ქაშანი, შაჰის ჯარი უძლური

ხდება მათთან ბრძოლაში. სეხნია თანმიმდევრობით აგრძელებს თხრობას ირანის კარზე მოღვაწე ქართველ ბაგრატიონებზე და ძირითად აქცენტს აკეთებს ავღანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებზე. 1703 წელს სეხნია მცირე ხნით საქართველოში დაბრუნდა. ამ წელს შაჰმა გიორგი მეფეს ქართლი კი დაუბრუნა, მაგრამ საქართველოში არ გამოუშვა და კვლავ ავღანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ყანდაარში გაგზავნა. „შეგვექნა სიხარული ქართლის შოვნისათვის — წერს ისტორიკოსი — მაგრამ ყანდაარში წასულის მოწყენა“(ჭიჭინაძე, 1913; 33). გიორგი მეფე ქირმანიდან ყანდაარს გაემგზავრა სეხნიას თანხლებით, რომელმაც იქ სამი წელი დაჰყო. სეხნიაც მონაწილეობდა ბევრ საბრძოლო ოპერაციაში, ზოგიერთი მათგანი მეტად დაწვრილებით აქვს აღწერილი. ბრძოლა ძირითადად ქირმანის და სისტანის უდაბურ ადგილებში მიმდინარეობდა. თხზულებაში კარგად ჩანს სეფიანთა სამხედრო ძლიერების დაცემა. მათი ერთადერთი ძალა ქართული ჯარი იყო. ყიზილბაშთა და ავღან-ბელუჯთა სამხედრო თვისებების შედარებისას ს. ჩხეიძე, ამ უკანასკნელთ, აშკარა უპირატესობას ანიჭებს. საკვანძო მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევასაც, თუ რამდენად დიდ იმედებს ამყარებდა ირანის კარი ქართველ მეომრებზე, რადგან გიორგი XI-მ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლეს ყიზილბაშებმა. ლევან ბატონიშვილი ირანში გაიწვიეს და ქართლის ჯანიშინად მისი შვილი ვახტანგი დაინიშნა. 1707 წლის თებერვალში გიორგი მეფემ ყანდაარიდან ლევანს საჩუქრები გამოუგზავნა სეხნიას ხელით. ამ დროს ისპაჰანში შიმშილობა დაიწყო, რამაც ხალხის მღელვარება გამოიწვია. მის ჩასაქრობად შაჰმა ისპაჰანს გაგზავნა ქაიხოსრო ბატონიშვილი, რომელმაც სეხნია ჩხეიძე ჩაფრად წაიყვანა. მღელვარება სასტიკად ჩაახშეს. ქართველი მემატიანე გადმოგცემს ირანის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მისი მოთხრობა ისპაჰანის აჯანყების შესახებ განსაკუთრებით ძვირფასია საისტორიო მეცნიერებისათვის, რადგან სხვა წყაროებმა არ შემოგვინახეს ცნობები ამ აჯანყებაზე. ისტორიკოსი თვითმხილველია ამ ამბების და შესანიშნავად გადმოგვცა იმდროინდელი ირანის მძიმე მდგომარეობა და მისი ღრმა სოციალური შინაარსი. ამ ამბების შემდეგ სეხნია საქართველოში დაბრუნდა და ვახტანგ მეფის სამსახურში ჩადგა, როგორც ქართლის მოლარეთუხუცესი. ისიც უნდა ითქვას, რომ გიორგი მეთერთმეტის ეპოქა ქართლში მშვიდობიანობის ეპოქაა. დროებით ქვეყანა წელში გაიმართა და მოღონიერდა. ამ დროს გაიყვანეს არხები, შენდება და ივსება მოოხრებულ–დაცარიელებული სოფლები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს თბილისში დაარსდა პირველი ქართული სტამბაც (იგულისხმება, ვახტანგVI-ის ჯანიშინობის პერიოდი).

1707 წელს ქაიხოსრო (გიორგის ძმისწული) დაინიშნა ყაენის ნაიბად და ისფაჰანის ტარუღად. 1709 წ. გიორგი XI-ის ძმისწულს იესე ბატონიშვილს ებოძა ქირმანის ნაიბობა, ხოლო ქაიხოსროს ირანის სპასალარობა. ცოტა ხნის შემდეგ იესე ბატონიშვილს მიანდეს ქირმანის ბეგლარბეგობა, ხოლო როსტომ ლევანის ძეს ისფაჰანის ტარუღობა. მოგვიანებით, 1711წ, იესეს , იგივე ალი-ყული ხანს ირანის თოფჩიბაშობა ებოძა. 1716 წელს ირანის სპასალარი უკვე ვახტანგ VI არის. 1722 წელს ბაქარ, ვახტანგის ძეს სოლთან ჰოსეინმა უბოძა ყულარაღასობა. ს. ჩხეიძის მიერ აღწერილი სპარსეთში მომხდარი ომები, პირდაპირ კავშირშია საქართველოსთან, რადგან ამ ომებში მონაწილე ჯარების მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა რაზმები შეადგენდნენ, ხოლო ყველა საბრძოლო ოპერაციებს ირანის მხრიდან, ქართველი მეფეები და ბატონიშვილები სარდლობდნენ. ,,თამამად შეგვიძლია ეს ომები ჩვენი ქვეყნის ისტორიას მივაკუთნოთ და მათ შესახებ არსებული ცნობები გამოვიყენოთ საქართველოს სამხედრო ისტორიის შესასწავლად“ (ანჩაბაძე, 1988: 60).

მეფე გიორგი ისევ სასტიკი ღონისძიებებით ცდილობდა შაჰის ხელისუფლების განმტკიცებას ავღანეთში. მან დააპატიმრა მირ ვეისი და ისპაჰანში გაგზავნა. ჰანვეის ცნობით: ,,ავღანელი ტომების წინამძღოლთა შორის ირანის ხელისუფლებისათვის ყველაზე უფრო საშიში ყოფილა მირვეისი, რომლის შესახებ გიორგი წერდა, თურმე

სამეფო კარს....ის არის გარდასულ უთანხმოებათა და უწესოებათა სულისჩამდგმელი და თავისივე ხასიათით განწყობილია ახალ-ახალ არეულობათა გამომწვევ პიროვნებად...“ (ხუბუა,1940:258). იმავე ინფორმაციას გადმოგვცემს სეხნიაც: ,, მას (მირვეისს) უნდა არევა ამა ქვეყნისა, ნუღარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახდენს“ ((ჭიჭინაძე,1913; 38). შაჰმა გიორგის გაფრთხილებას ყური არ ათხოვა, ან თვითონ მირ-ვეისმა ეშმაკობით მოახერხა შაჰის გულის მოგება და უფლება ყანდაჰარში დაბრუნებისა. იოსებ ქართველიც და თადეუშ კრუშინსკიც ერთნაირად მიუთითებენ შაჰის უფროს საჭურისსა და ფათჰალი-ხანზე, რომელთაც აღმოუჩინეს დახმარება მირ-ვეისს. მათ სძულდათ გიორგი XI იმის გამო, რომ ქართველს ერგო ისეთი მდიდარი პროვინცია, როგორიც იყო ყანდაჰარი, ფარულად ისინი ყოველთვის იბრძოდნენ მის წინააღმდეგ (გობეჯიშვილი,1973 :93). ზოგადად, ყანდაჰარის მდებარეობა ისტორიულად აქცევდა მას ერთგვარ გამაგრებულ ბარიერად ირანისა და ინდოეთის იმპერიათა შორის, ხოლო მისი სატახტო ადგილი ითვლებოდა აზიის ერთ-ერთ მთავარ ციხესიმაგრედ. საუკუნის პირველ მესამედში სეფიანთა მთელი სამხედრო რესურსი სწორედ ამ მნიშვნელოვანი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად იყო მიმართული. ავტორის ყურადღების ცენტრშიც ავღანელთა ეს მთავარი ციხე-ქალაქია, რომლის კედლებთან ბევრი ქართველი მეომარი დაიღუპა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სეხნია ჩხეიძე 1707 წლიდან უკვე სამშობლოშია. აქედან გამომდინარე, ის ყანდაჰარში განვითარებულ მოვლენების თვთმხილველი ვერ იქნებოდა, თუმცა ჩანს, ის მაინც აკვირდებოდა განვითარებულ მოვლენებს.

აჯანყებულ ავღანელებთან ბრძოლაში გამარჯვებული ქართველთა რაზმები, უკან დაბრუნებულნი, სასტიკ ომს გადაიხდიან მირვეისის ჯართან და ბრძოლით დატოვებენ ამ პროვინციის საზღვრებს, ჰანვეის გადმოცემით, ,,რვა დღის განმავლობაში გასაოცარი სიმამაცით ქართველები ბრძოლით იხევდნენ პროვინციის ტერიტორიაზე და ბოლოს დატოვეს მისი საზღვრები“ (ხუბუა,1940:260); მირ-ვეისის ორპირობამ თავისი შედეგი გამოიღო, რაკი შაჰის ნდობა მოიპოვა, მან შემოიკრიბა სეფიანთა სახელმწიფოს მტრები და 1709 წლის 29 აპრილს, როდესაც ჯარის უმეტესი ნაწილი გიორგის ძმისწულის ალექსანდრეს მეთაურობით წასული იყო ავღანეთის ერთ-ერთი განდგომილი ტომის აჯანყების ჩასაქრობად მოულოდნელად თავს დაესხა გიორგის და მის ახლობლებს და ამოხოცა, რასაც მოჰყვა ქ. ყანდაჰარის უეცარი იერიში და აღება. „მოუხუდა განთიადსა, დაესხა თავსა. რა სცნა მეფემან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერთსა მისსა, გაიკრა ჴელი, თავმან მისმან, სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა, რა ისარი დაელია, გაიკრა ხელი ხმალსა, როგორც დევი ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორჭმა დიდების პატრონსა და მოკლეს, ვინცა ვინ ქართველნი დარჩომილ იყო ამოსწყვიტეს. შევიდა ციხესა ყანდაარისასა.... მიუვიდა ამბავი ალექსანდრეს და ქართველთა“ (ჭიჭინაძე, 1913:44). ჰანვეის წყაროც იმავეს ადასტურებს: ,,თავიანთი უფროსებისა და ოფიცრების ტრაღიკული ბედი გაიზიარეს აგრეთვე ქართველთა დანარჩენმა რაზმებმაც, რომლებიც იმყოფებოდნენ ყანდაჰარში“ (ხუბუა, 1940:260).

ამ ორი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ავტორის ცნობა იშვიათი იდენტობაა, სამაგიეროდ განსხვავებულად გადმოგვცემენ გიორგი მეფის დაღუპვის ამბავს. სეხნიას აღნიშნული ვითარება აღწერილი აქვს სხვათა ჩვენების მიხედვით. მისი ვერსიით, გიორგი მოკლული იქნა მირვეისის მომხრეთა მიერ მისივე თანდასწრებით, შეტაკების დროს. ჰანვეის ცნობით კი, ცბიერ ავღანელს მოუდუნებია მისი სიფხიზლე და ღალატით მოუკლავთ, როგორც ის, ისე მისი ოფიცრები კარვებში, ლხინისა და ღრეობის შემდეგ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

ყველა შეტაკებების დროს ქართველებმა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს, რადგან რიცხვმრავალი ავღანური ლაშქარი უპირისპირდებოდა ბრძოლით დაღლილ რამდენიმე ასეულ ქართველს. ბიძის გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფე გახდა ქაიხოსრო ლევანის ძე, რომელსაც შაჰმა ყანდაჰარის ბეგლარბეგობა ჩააბარა. ავღანეთში,

კერძოდ, ყანდაარში მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა ქართველებმა გირიშკის ციხეს შეაფარეს თავი. ყიზილბაშებმაც მიატოვეს ყანდაჰარის ტერიტორია, სპარს თანამებრძოლთა მუხანათობის ამბავი ბეჟან რატისშვილმა შაჰს ჩაუტანა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა სოლთან ჰოსეინმა ქაიხოსროს წარგზავნა ავღანელთა დასამორჩილებლად. მირ-ვეისი ყანდაარში მშვიდად იყო. დროდადრო ერთვებოდა ბრძოლაში. იგი 1710 წელს ისევ დამარცხდა ქართველებთან შეტაკების დროს. სეხნიას გადმოცემით, მას „ადრევე შეუტყვეს და დაემზადნენ, შექმნეს ომი ძლიერი, მოუკლეს მირვეის ძმა და ძმის-წული, ამოსწყვიტეს, გაიმარჯვეს ქართველთა, მირვეისი გაიქცა“ (ჭიჭინაძე, 1913:46). იასე ცალქალამანიძემ მეფეს შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ მოახსენა და უკან დახევა შესთავაზა, მაგრამ ქაიხოსროს პოზიცია არ შეუცვლია და თავი გადადო: „ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო თავი, არცა გვარი ჩემი". მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა, ჩამოაგდო შუბითა ორი კაცი, დახუდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი. წამოეხვივნენ, დაჩეხეს ხმლითა, ცალქალამიძე იესე წინ მოუკლეს“ (ჭიჭინაძე, 1913: 46). ამრიგად, ყანდაჰარი საბოლოოდ გადავიდა ავღანთა მფლობელობაში. 1712 წელს მირ ვეისმა სასტიკად დაამარცხა შაჰის ჯარი და სიკვდილამდე (1715 წ.) დამოუკიდებელ მმართველად დარჩა. 1712 წელს სეხნია ჩხეიძე ირანში გაჰყვა ვახტანგ მეფეს. წყაროს ცნობით, ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ ქართლის გამგებლობა ვახტანგ VI-ის ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ, რადგან მან უარი განაცხადა სარწმუნოების გამოცვლაზე, ის ქირმანში გაიწვიეს, ქართლის გამგებლობა კი მის გამაჰმადიანებულ ძმას - იესეს მისცეს. სეხნიას თხზულებაში კარგად ჩანს, თუ რა ძლიერი იყო რელიგიური ფაქტორი ქრისტიანულ საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციაში. 1716 წელს ვახტანგი იძულებული გახდა მიეღო მაჰმადიანობა და სახელიც - უსეინ ყული - ხანი. ქართლის მეფობასთან ერთად მას უბოძეს ირანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდავი. 1719 წელს ვახტანგი ქართლში დაბრუნდა, სეხნია ჩხეიძემ კვლავ განაგრძო სამეფო კარზე სამსახური.

დოურე ეფენდი, რომელიც ოსმალეთის სულთანს ელჩად ჰყავდა გაგზავნილი 1720 წელს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ირანის სეფიანთა სახელმწიფოზე ამბობს, ოდესღაც გაბრწყინებული და გამართული სახელმწიფო თავის დასასრულს უახლოვდებაო (Tienn 1810, 51), ასევე პეტრე I-ის ელჩი ირანში, არტემი ვოლინსკიც სეფიანთა ირანის ეკონომიკურ დაცემაზე მიუთითებს და ამ მოვლენას არაკეთილსინდისიერ მმართველებს მიაწერს (Арунова, 1958:51).

ვახტანგ VI კარგად ხედავდა ირანის მდგომარეობას, ხვდებოდა, რომ შაჰს ახლა მისთვის არ ეცალა და დასჯასაც ვერ მოახერხებდა. სეხნია ჩხეიძეც რეალურად აფასებდა მოვლენებს. მან იცოდა, რომ სეფიანთა დაცემა გარდაუალი იყო და სულაც არ აჭარბებს ქართველი მხედრობის ძალის მნიშვნელობას ირანის სახელმწიფოს გადარჩენის საკითხში. ავღანელებმა სასტიკად დაამარცხა შაჰის ჯარი, სეფიანებს არ დაეხმარა არც ერთი ვასალური ქვეყნის მმართველი. გაჭირვებაში ჩავარდნილ შაჰს შემწეობა არ აღმოუჩინა ვახტანგ მეფემაც, რომელიც ამ დროს ერთმორწმუნე ქრისტიანულ რუსეთიდან ელოდა დახმარებას. მირ მაჰმუდის მეთაურობით ღილზაებმა ირანზე გაილაშქრეს. მათ შეუერთდნენ სხვა ავღანელი (მაგ., აბდალები) და არაავღანელი ხალხების ცალკეული რაზმები. ალყა შემოარტყეს სეფიანების დედაქალაქ ისპაჰანს, ხოლო 1722 წლის 22 ოქტომბერს, შაჰ სოლთან ჰოსეინმა თავი დამარცხებულად სცნო და მირ მაჰმუდს შაჰის გვირგვინი გადასცა. იოსებ ქართველი იმ დროს, როდესაც ავღანელებმა დაიპყრეს ისპაჰანი, იმყოფებოდა სასახლეში და საკუთარი თვალით ნახა, როგორ დაადგა თავზე შაჰ ჰოსეინმა მირ მაჰმუდს გვირგვინი.

1722 წლისთვის, 220-წლიანი სეფიანთა იმპერია დაშლის ზღვარზეა. შაჰ სოლეიმანისა მმართველობის ხანაში დაიწყო და შაჰ ჰოსეინის დროს გაგრძელდა

სახელმწიფოს კვდომის პროცესი. ამას ემატებოდა შაჰის სამოხელეო აპარატის კორუმპირებულობა, სისასტიკე, შაჰ სოლეიმანის გაუწონასწორებლობა და შაჰ ჰოსეინის ქვეყნისთვის საზიანო პოლიტიკა. ორივე მონარქი გამოირჩეოდა გულგრილობით სახელმწიფო საქმეების მიმართ. სეფიანთა მყიფე სტრუქტურას მაინც დამაარსებელთა დიადი მონაპოვარი ამაგრებდა, სანამ მირ მაჰმუდ ავღანელმა სულ რაღაც რვა თვეში, მას , როგორც პოლიტიკურ სუბიექტს , ბოლო არ მოუღო.

საერთო ჯამში, პირველწყაროების მონაცემები საკმაოდ ზუსტად ასახავს სეფიანთა დაკნინების ძირითადად მიზეზებს. შესაბამისად, თანამედროვე დასავლურ გამოკვლევებში შეინიშნება გარკვეული კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ამ თანხვდომი პოზიციის მიუხედავად, სხვადასხვა მკვლევარი, როგორც ვხედავთ, წინ წამოწევს დინასტიის დასუსტებისა და შემდგომი დაცემის რომელიმე კონკრეტულ მიზეზსა თუ ელემენტს (სოციალური დაძაბულობა, გარეგანი ფაქტორები, სეფიანი მონარქების სისუსტე და ა.შ.) და საკითხის შესწავლისას სწორედ მასზე ამახვილებს ძირითადად ყურადღებას. მათი გამოკვლევების შეჯერების შედეგად კი ვიღებთ სეფიანთა სახელმწიფოს თანდათანობითი განადგურების საკმაოდ სრულ და დამაჯერებელ სურათს.

დასკვნა. ავტორის პირველწყაროთა მონაცემები საკმაოდ ზუსტად ასახავს სეფიანთა დაკნინების ძირითადად მიზეზებს. შესაბამისად, ვხედავთ დინასტიის დასუსტებას და შემდგომ დაცემას. სეხნია ჩხეიძე ამ ეპოქის განხილვისას სწორედ ამ ფაქტორებზე ამახვილებს ძირითად ყურადღებას. მისი თხრობის შეჯერების შედეგად კი ვიღებთ სეფიანთა სახელმწიფოს თანდათანობით განადგურების საკმაოდ სრულ და დამაჯერებელ სურათს.

სეხნია ჩხეიძე თავის ნაშრომს ,,ცხოვრება მეფეთას“ უწოდებს და ძირითადად იცავს არჩეულ კურსს. მან დაწერა არა საქართველოს ისტორია, არამედ ქართლისა და ნაწილობრივ, კახეთის მეფეების ისტორია ირანთან კავშირში. უფრო მეტიც, ისტორიკოსი მოგვითხრობს ქართლის ბაგრატიონების (მუხრანბატონთა შტო) მძიმე ეპოქის შესახებ, მითითებული პირველწყარო კი გვეხმარება XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს რეალური, ისტორიული სურათის აღდგენაში. სეხნია ჩხეიძის თხრობისას გამოყენებული აქვს ცალკეული შტრიხები – ყოფითი დეტალები თუ მოარული სტერეოტიპები, რომლებიც ლიტერატურულ ხერხებად შეიძლება მივიჩნიოთ და რომელთა მეშვეობით ავტორი ტექსტის ერთგვარ დრამატიზებას ცდილობს. ყოველ აღწერილ მოვლენას ს. ჩხეიძე, დეტალურად განიხილავს და აზუსტებს, ამით ტექსტის სანდოობის ხარისხს ზრდის. ავტორს არაერთგზის მოხსენიებული აქვს ნადირობა, ბურთაობა, ყაბახი და სხვა გასართობი თამაშები. ისინი გართობის გარდა სამხედრო ინტერესებსაც ემსახურებოდა, რომლის გარეშეც ზემოთ აღნიშნული მხედრული მიღწევები წარმოუდგენელი იყო. სეხნია ჩხეიძის ცნობები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ირანის ისტორიის ამ პერიოდის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ თავის დროზე ფრანგულ ენაზეც თარგმნა სეხნია ჩხეიძის ,,ცხოვრება მეფეთა”.

სტატიაში განხილულია ქართველ მეფეთა ბრძოლა ავღანელთა წინააღმდეგ XVIIIს-ის პირველ მესამედში და მათი ურთიერთობები სეფიანთა ბოლო მმართველებთან. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა ისტორიულ ფაქტებზეც, იგულისხმება წყაროს ირგვლივ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიება და პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენა. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ,,ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე შეადგენს სეხნია ჩხეიძის ისტორიის ღირსებას” (ჯავახიშვილი, 1977:360). ვფიქრობ, ამბის თხრობისას არ არის მხოლოდ მშრალი აღნუსხვა ფაქტებისა, არამედ მოვლენათა შეფასების და მათი კრიტიკული განხილვის მცდელობასაც ვხედავთ. წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით საყურადღებოა ეს

ისტორიული ფაქტები, რადგან უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს, როგორც საქართველოს, ისე ირანის ისტორიისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ჩხეიძე, ს. (1913). *ცხოვრება მეფეთა, წიგნში-საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე. ორ წიგნად აღწერილი.* მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ.

ჯავახიშვილი, ი. (1977). *თხზულებანი 12 ტომად,* ტ. VIII, თბ.

გვრიტიშვილი, დ. (1968). *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან,* III თბილისი.

გობეჯიშვილი, მ. (1973). სეხნია ჩხეიძის "ცხოვრება მეფეთა' როგორც წყარო სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა,* IV, თბილისი.

ხანთაძე. შ. (1985). *ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში,* თბილისი

ნატროშვილი, თ. (1969), *მასალები იოსებ ქართველის ბიოგრაფიისთვის,* „მაცნე",N5, გვ. 105-118.

გაბაშვილი, ვ. (1955). *იოსებ ქართველი -XVII საუკუნის დიპლომატი და ისტორიკოსი, მასალები ქართველთა და კავკასიის ისტორიის შესახებ,* გვ. 118-120

ანჩაბაძე, გ. (1988). სეხნია ჩხეიძის ,,ცხოვრება მეფეთა " როგორც სამხედრო - საისტორიოწყარო, მაცნე N4, გვ. 56-64.

ნაკაშიძე, ნ. (1976). ,,ცხოცრება მეფეთა" , შესავალი, თბილისი.

დიონიჯო, კ. (1951). *თბილისის აღწერა,* თარგმანა ბ.გიორგაძემ,მსკი,29. გვ. 168-169.

ხუბუა, მაკარ. (1940). ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან. *მოამბე.* V-VI. 233-267.

Krusinski, Judasz Thaddeusz. (1735). *A History of the Late Revolutions of Persia,* 2 vols. London.

Пигулевская, Н.В., Якубовский, А.Ю. Петрушевский, И.П., Строева, Л.В., Беленицкий, А.М. (1958). *История Ирана с древнейших времен до конца XVIII века.* Издательство Ленинградского университета.

Hanwey, J. 1729-1742. An historical account of British trade over the Caspian sea:, vol I-II London.

Арунова, М.Р., Ашрафян, К.З. (1958). *Государство Надир-Шаха Афшара.* Москва: издательство Восточной Литературы.

Tienn, M. (1810). Relation de Dourry Effendi. Paris.

REFERENCES

chkheidze, s. (1913). tskhovreba mepeta, ts'ignshi-sakartvelos tskhovreba, akhali motkhroba 1469 ts'lidan, vidre 1800 ts'lamde. or ts'ignad aghts'erili. meore gamotsema z. ch'ich'inadzis mier, tb., [Chkheidze, S. (1913). Life of the Kings, in the book - Life of Georgia, a new story from 1469 rather than 1800. Described in two books. Second edition Z. by Chichinadze, book. Tb.]

javakhishvili, i. (1977). tkhzulebani 12 t'omad, t', VIII, tb, [Javakhishvili, I. (1977).Works in 12 volumes, t, VIII, Tb.].

gvrit'ishvili, d. (1968). nark'vevebi sakartvelos ist'oriidan,III tbilisi, [Gvritishvili, D. (1968). Essays from the history of Georgia, III Tbilisi.].

gobejishvili, m. (1973). sekhnia chkheidzis “tskhovreba mepeta’ rogorts ts'qaro sepianta sakhelmts'ipos ist'oriisatvis, kartuli ts'qarotmtsodneoba, IV, Tbilisi. [Gobejishvili, M. Sekhnia Chkheidze's "Life of the Kings" as a source for the history of the Safavid state, Georgian Source Studies, IV, Tbilisi.].

khantadze. sh. (1985). kartuli ist'oriograpia XVIII sauk'uneshi, tbilisi, [Khantadze. Sh. (1985). Georgian historiography in the 18th century, Tbilisi].

nat'roshvili, t. (1969). masalebi ioseb kartvelis biograpiistvis, „matsne“,N5, gv. 105-118. [Natroshvili, T. (1969). Materials for the biography of Ioseb Kartveli, "Messenger", N5, p. 105-118].

gabashvili, v. (1955). ioseb kartveli -XVII sauk'unis dip'lomat'i da ist'orik'osi, masalebi kartvelta da k'avk'asiis ist'oriis shesakheb, gv118-120. [Gabashvili, V. (1955). Ioseb Kartveli - 17th century diplomat and historian, Materials on the history of Georgians and the Caucasus, p. 118-120].

anchabadze, g. (1988). sekhnia chkheidzis ,,tskhovreba mepeta “ rogorts samkhedro -saist'orio ts'qaro, matsne N4, gv 56-64. [Anchabadze, G. (1988). Sekhnia Chkheidze's "Life of Kings" as a military-historical source, Matsne N4, pp. 56-64].

nak'ashidze,n. (1976). ,,tskhotsreba mepeta“ , shesavali, tbilisi, [Nakashidze, N. (1976). "Slaughter of Kings", introduction, Tbilisi,].

dionijo k'arli, (1951). tbilisis aghts'era, targmana b.giorgadzem,msk'i,29.,gv 168-169. [Dionijo Karl, (1951). Description of Tbilisi, translated by B. Giorgadze, Moscow State University, 29. p. 168-169].

khubua, mak'ar. (1940). kartul-iranul urtiertobidan. moambe V-VI. 233-267.

Krusinski, Judasz Thaddeusz. (1735). A History of the Late Revolutions of Persia, 2 vols. London

Pigulevskaja, N.V., Jakubovskij, A.Ju. Petrushevskij, I.P., Stroeva, L.V., Belenickij, A.M. (1958). Istorija Irana s drevnejshih vremen do konca XVIII veka. Izdatel'stvo Leningradskogo universiteta.

Hanwey, J. 1729-1742. An historical account of British trade over the Caspian sea:, vol I-II London.

Arunova, M.R., Ashrafjan, K.Z. (1958). Gosudarstvo Nadir-Shaha Afshara. Moskva: izdatel'stvo Vostochnoj Literatury

Tienn, M. (1810). Relation de Dourry Effendi. Paris.